



**TBILISI HUMANITARIAN
TEACHING UNIVERSITY**

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი
სამართლის ფაკულტეტის სხდომის

ოქმი № 6 / 2016

თბილისი

18 ივნისი 2016 წ.

სხდომის დაწყების დრო: 15. 00

სხდომის დასრულების დრო: 15. 20

სხდომას ესწრებოდნენ:

- | | |
|----------------------------------|----------------------------------|
| 1. პროფ. კახი ყურაშვილი; | 9. უფრ.მასწ. შალვა ქურდაძე |
| 2. პროფ. თამარ ჩიტოშვილი; | 10. უფრ. მასწ. ლალი ფაფიაშვილი; |
| 3. პროფ. არჩილ ლორია; | 11. უფრ. მასწ. ნინო ნიჟარაძე; |
| 4. პროფ. ლელა ნადიბაიძე; | 12. სტუდენტი ელენე კვერნაძე; |
| 5. პროფ. მაკა სალხინაშვილი; | 13. სტუდენტი ანზორ კოპალეიშვილი; |
| 6. პროფ. თამარ ლალიაშვილი; | 14. სტუდენტი ალექსანდრე კუჭავა; |
| 7. ასოც. პროფ. დავით გეფერძე; | 15. სტუდენტი მარი ბერუაშვილი. |
| 8. ასოც. პროფ. მანანა ხვედელიძე; | |

ქვორუმი: 11

სხდომის თავმჯდომარე: პროფ. კ. ყურაშვილი

სხდომის მდივანი: ეთერ ირემაძე

დღის წესრიგი:

1. სამართლის ფაკულტეტის სტუდენტთა ნებაყოფლობითი გამოკითხვის ანალიზის თაობაზე (მომხ. პროფ. კ.ყურაშვილი)

1. მოისმინეს:

თქუ სამართლის ფაკულტეტის დეკანის პროფესორ კახი ყურაშვილის ინფორმაცია, რომ თქუ ხარისხის მართვის სამსახურის ინიციატივით ჩატარდა სტუდენტთა ნებაყოფლობითი გამოკითხვა. გამოკითხვაში მონაწილეობდა პირველიდან მეოთხე კურსის ჩათვლით სულ 85 სტუდენტი. კითხვარი შედგებოდა 15 კითხვისგან, რომელიც უნივერსიტეტმა განსაზღვრა, სტუდენტებს ასევე საშუალება მიეცათ თავისუფლად

გამოეხეტათ საკუთარი აზრი ღია კითხვის მეშვეობით: „გთხოვთ ჩმოაყალიბოთ პუნქტობრივად რა არ მოგწონთ თქუ -ში, რის გამოსწორებას ისურვებდით და როგორ“ .

- კითხვაზე: თქვენი აზრით, უზრუნველყოფს თუ არა საგანმანათლებლო პროგრამა თეორიული ცოდნის მიღებასა და პრაქტიკული უნარების განვითარებას? დადებითად უპასუხა (სრულად/ნაწილობრივ) 89 %-მა, ხოლო უარყოფითად (იშვიათად/არა) 11 %-მა.
- კითხვაზე: თქვენი აზრით, უზრუნველყოფს თუ არა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შრომის ბაზრის მოთხოვნილებებს? დადებითად უპასუხა (სრულად/ნაწილობრივ) 90 %-მა, ხოლო უარყოფითად (იშვიათად/არა) 10 %-მა.
- კითხვაზე: თქვენი აზრით, საკმარისია თუ არა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შემდგომ საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად? დადებითად უპასუხა (სრულად/ნაწილობრივ) 92 %-მა, ხოლო უარყოფითად (იშვიათად/არა) 8 %-მა.
- კითხვაზე: მიგაჩნიათ, თუ არა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული სასწავლო კურსებისათვის განკუთვნილი კრედიტების რაოდენობა საკმარისია შესაბამისი კვალიფიკაციის მისაღებად? დადებითად უპასუხა (სრულად/ნაწილობრივ) 83 %-მა, ხოლო უარყოფითად (იშვიათად/არა) 17 %-მა.
- კითხვაზე: მიგაჩნიათ, თუ არა, რომ პროფესორ-მასწავლებლები იყენებენ სწავლების თანამედროვე მეთოდებს? დადებითად უპასუხა (სრულად/ნაწილობრივ) 84 %-მა, ხოლო უარყოფითად (იშვიათად/არა) 16 %-მა.
- კითხვაზე: მიგაჩნიათ თუ არა, რომ არსებული შეფასების სისტემა არის გამჭვირვალე? დადებითად უპასუხა (სრულად/ნაწილობრივ) 90 %-მა, ხოლო უარყოფითად (იშვიათად/არა) 10 %-მა.
- კითხვაზე: არსებობს თუ არა სტუდენტთა მომსახურების სამსახური? დადებითად უპასუხა (სრულად/ნაწილობრივ) 80%-მა, ხოლო უარყოფითად (იშვიათად/არა) 20 %-მა.
- კითხვაზე: გთავაზობთ თუ არა უნივერსიტეტი დამატებით მომსახურებას (სპორტი და სხვ)? დადებითად უპასუხა (სრულად/ნაწილობრივ) 20 %-მა, ხოლო უარყოფითად (იშვიათად/არა) 80 %-მა.
- კითხვაზე: ღებულობთ თუ არა რეგულარულად ინფორმაციას არსებული სტიპენდიებისა ან გაცვილითი პროგრამების შესახებ? დადებითად უპასუხა (სრულად/ნაწილობრივ) 41 %-მა, ხოლო უარყოფითად (იშვიათად/არა) 59 %-მა.
- კითხვაზე: ღებულობთ თუ არა საჭირო კონსულტაციას აკადემიური პერსონალისაგან? დადებითად უპასუხა (სრულად/ნაწილობრივ) 50%-მა, ხოლო უარყოფითად (იშვიათად/არა) 50 %-მა.

- კითხვაზე: ზოგადად, რამდენად გაკმაყოფილებთ პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიკაცია? დადებითად უპასუხა (სრულად/ნაწილობრივ) 96 %-მა, ხოლო უარყოფითად (იშვიათად/არა) 4 %-მა.
- კითხვაზე: რამდენად შეესაბამება ინფრაქსტრუქტურა, მატერიალური და ტექნიკური რესურსები პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო გარემოს? დადებითად უპასუხა (სრულად/ნაწილობრივ) 70 %-მა, ხოლო უარყოფითად (იშვიათად/არა) 30 %-მა.
- კითხვაზე: კმაყოფილი ხართ თუ არა ბიბლიოთეკით? დადებითად უპასუხა (სრულად/ნაწილობრივ) 81 %-მა, ხოლო უარყოფითად (იშვიათად/არა) 19 %-მა.
- კითხვაზე: სარგებლობთ თუ არა ელექტრონული რესურსებით (ელექტრონული ჟურნალები, წიგნები და სხვ.) დადებითად უპასუხა (სრულად/ნაწილობრივ) 77 %-მა, ხოლო უარყოფითად (იშვიათად/არა) 23 %-მა.

ფაკულტეტზე გასაძლიერებელი მიმართულებებია:

- დამატებითი მომსახურება (სპორტი და სხვა აქტივობები.)
- კონსულტაცია აკადემიური პერსონალისგან;
- ინფორმაციების სიმწირე გაცვლითი პროგრამების შესახებ

მომხსენებელმა საბჭოს წევრებს სთხოვა, წარმოედგინათ საკუთარი ხედვები აღნიშნული ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

აზრი გამოთქვეს: პროფ. ა. ლორიამ, პროფ. ლ. ნადიბაიძემ, ასოც. პროფ. მ. ხვედელიძემ და პროფ. თ. ლალიაშვილმა

კენჭისყრის შედეგი:

გადაწყვიტეს:

1. გაძლიერდეს სამართლის ფაკულტეტის დეკანატის ჩართულობა სტუდენტთა მოთხოვნების შესაბამისად, კერძოდ:
 - ა) ყურადღება მიექცეს სპორტულ და კულტურულ ღონისძიებების ჩატარებას და გამოიყოს შესაბამისი ხარჯები;
 - ბ) გაიზარდოს სტუდენტთა ინფორმირებულება გაცვლითი პროგრამების შესახებ;
 - გ) გაიზარდოს აკადემიური პერსონალის მიერ კონსულტაციების ჩატარების დრო.
2. აღნიშნული გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს თქვე ვებგვერდზე;

თავმჯდომარე:

მდივანი:



კ. ყურაშვილი

ე. ირემაძე